პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 მაისი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 119 (15332)

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲫᲐᲚᲐ

1972 წლის 19 მაისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. ვ. კაპიტონოვის მოხსენება „პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შესახებ“ და მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

ერთსულოვნად მიღებულ დადგენილებაში „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა და მხარი დაუჭირა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებებს და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებების შესაბამისად მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის განმტკიცებას.

პლენუმმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საგარეო პოლიტიკას ერთსულოვნად უჭერენ მხარს მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი. სსრ კავშირის პრინციპული, თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკაა შეეხსაბამება საბჭოთა კავშირის, მსოფლიო სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირეულ ინტერესებს, აქტიურად უწყობს ხელს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის მოგერიებას“.

მოხსენებაში, რომელიც პლენუმმე გაკეთა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი. ყოველმხრივ დახასიათებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე, განსაზღვრულია სსრ კავშირის აქტუალური საგარეოპოლიტიკური ამოცანები.

ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი მთელ მუშაობაში ხელმძღვანელობენ სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, რომელმაც განსაზღვრა პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გენერალური მიმართულებანი თანამედროვე ეტაპზე. ყრილობის შემდეგ განვლილმა ერთ წელზე ცოტა მეტმა ხანმა დამაჯერებლად დაადასტურა, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ხელს უწყობს კომუნისტური მშენებლობისათვის კეთილნაყოფიერი საერთაშორისო პირობების შექმნას, ეფექტურად უჭერს მხარს განმათავისუფლებელ მოძრაობებს, ინტერნაციონალიზმის აგრესიულ ბრიკიებს, განამტკიცებს საყოველთაო მშვიდობას. მშვიდობის პროგრამა, რომელიც XXIV ყრილობამ დასახა, თანმიმდევრულად ხორციელდება ოა მსოფლიო პოლიტიკის ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ გახდა.

საბჭოთა კავშირი ახორციელებს სოციალისტურ ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის, კავშირისა და მეგობრობის გაღრმავებისა და განვითარების კურსს. ჩვენ გვაქვს მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან საერთო შეთანხმებულია ხაზი მსოფლიო პოლიტიკის ყველა ძირითად საკითხში. სსრ კავშირი მეგობრებთან ათანხმებს ეკონომიური თანამშრომლობის გრძელვადიან გეგმებს. ჩაღდება მოშუამა სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განხორციელებისათვის. იზრდება ძლიერება და შეკავშირება სოციალისტური თანამეგობრობისა. მტკიცდება მისი პოზიციები და თვრთოვდება გავლენა მსოფლიო განვითარების მსვლელობაზე. ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში სულ უფრო იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ.

ცხოვრება ადასტურებს, რომ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა იყო და არის მთავარი ძალა, რომელიც უპირისპირდება მსოფლიო კაპიტალიზმს. თანამედროვეობის განმათავისუფლებელ მოძრაობათა მძლავრი ბურჯია. თავის დიდმნიშვნელოვან ინტერნაციონალურ მოვალეობად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია ის, რომ კიდევ უფრო ენერგიულად განაგრძოს მსოფლიო სოციალიზმის, პოზიციების განმტკიცების. მომავ ქვეყნებთან თანამშრომლობის ყოველნაირად განვითარების კურსი.

საბჭოთა ხალხი მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ერთად აქტიურად განამტკიცებს კავშირს თანამედროვეობის მთელ სხვა რევოლუციურ ძალებთან — ხელთაშორისო მუშათა მოძრაობასთან, ხალხთა ეროვნულ და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლებთან.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული განხორციელება გამოიხატება იმ მხარდაჭერით, რომელსაც ჩვენი საშობლო უწევს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტური აგრესიის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება ის არის, რომ იგი საკადრის პასუხს სცემდეს იმპერიალისტთა მიერ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფას, იბრძოლოს ომის კერების ლოკვიდაციისათვის.

ხელმძღვანელობს რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებით, საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევს ვიეტნამის გმირ ხალხს, ლაოსისა და კამბოჯის პატრიოტებს, რომლებიც თავიანთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობას იცავენ. ვიეტნამელ მებრძოლთა წარმატებანი იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ შედეგია მათი თავდადებული მეცადინეობისა, მათი სიმტკიცისა და საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების. მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების მძლავრი მხარდაჭერისა.

ხვეზებით უჭერენ რა მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის სამართლიან წინადადებებს, საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ, რომ ინტერვენტიმმა დატოვონ ინდოჩინეთი, მოითხოვენ, რომ ამ რაიონის ხალხებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი, გარედან ჩაურევლად და ზეგავლენის მოუხდენლად.

სსრ კავშირი მხარს უჭერს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის, ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და საიმედო მშვიდობის დამყარებისათვის. მტკიცდება საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა პროგრესულ არაბულ სახელმწიფოებთან, რომლებიც არსებით პოზიტიურ ფაქტორს წარმოადგენენ ამ რაიონში. ჩვენ კვლავაც განვამტკიცებთ ამ ურთიერთობას ჩვენი ხალხების ინტერესებისათვის, მშვიდობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა ხალხი ავითარებს მეგობრობას, ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას ყველა კონტინენტის ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის ბორკილები, იბრძვიან იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სოციალური განვითარების პროგრესული გზისათვის.

„იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირი უპირისპირებს მშვიდობის აქტიური დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას“. — თქვა სკკპ XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამ კურსის ნაყოფიერებას ადასტურებენ აგრეთვე ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ღონისძიებანი იმ საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისათვის, რომლებიც ევროპის პოლიტიკურსა განვითარებამ წამოაყენა. მტკიცდება სოციალიზმის პოზიციები ევროპის მიწაწყალზე. თავისი შედეგები მოაქვს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძალების მტრული პირისპირ დგომის ნაცვლად დადგეს მშვიდობიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პერიოდი.

მომმე სოციალისტური ქვეყნების შეთანხმებულმა მოქმედებამ, მათმა სიმტკიცემ და პრინციპულობამ, ომის მოტრფიალე იმპერიალისტური წრეების უყოდგებამ, ამასთანავე სრულიად ევროპის თანამშრომლობის განვითარების კონსტრუქციულმა ხაზმა ხელი შეუწყო ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც კარგ გავლენას ახდენს კონტინენტზე დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და უშიშროების განმტკიცებაზე. წარმატებით ფართოვდება სსრ კავშირის თანამშრომლობა საფრანგეთთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხელშეკრულებათა დადება ნიშნავს ევროპაში შექმნილ ტერიტორიულ და პოლიტიკურ რეალობათა ცნობას, და ეს საფუძველს უყრის საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობამ ცხადყო, რომ იგი მხარს უჭერს სსრ კავშირთან, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებთან ურთიერთობის ძირეულ გაუმჯობესებას, მილიტარისტული, რევანშისტული ძალების პოლიტიკასთან კავშირის გაწყვეტას. აღნიშნულ ხელშეკრულებათა, ისევე როგორც დასავლეთ ბერლინის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლა, უეჭველია, დადებით გავლენას მოახდენს მთელი ევროპის პოლიტიკურ კლიმატზე, იქმნება იმის მტკიცებაზე, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ კონტინენტზე სტაბილური ვითარებისათვის, მისი ხალხების მშვიდობიანი მომავლისათვის.

ეს ხელშეკრულებანი სახავენ აგრეთვე იმის შესაძლებლობებს, რომ კიდევ უფრო მოწესრიგდეს ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო გერმანიის მიწაწყალზე — ევროპის მშვიდობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. მტკიცდება მისი საერთაშორისო პოზიციები, ვითარდება ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებანი სპობენ ბევრ დაბრკოლებას, რომლებიც ნატომ შექმნა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის გზაზე. თათბირისათვის მზადება პრაქტიკული პოლიტიკის საქმე გახდა. ამ მზადებაში არსებით როლს უეჭველია შეასრულებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი ძალების ბრიუსელის ასამბლეა, რომელიც ივნისის პირველ რიცხვებში უნდა გაიმართოს.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ სრულიად ევროპის თათბირი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც ბევრად შეუწყობს ხელს ვითარების სერიოზულ გაჯანსაღებას კონტინენტზე, სრულიად ევროპის უშიშროების სისტემის შექმნას. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღებული დეკლარაცია ევროპის მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც შეიცავს სრულიად ევროპის თანამშრომლობის პრინციპებს, დადებითად აღიქვა ევროპის სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ. მან თათბირის მოწვევის კარგი პერსპექტივები დასახა.

საბჭოთა კავშირი იღვწოდა და იღვწის აზიის სახელმწიფოებთან უაღრესად კეთილი ურთიერთობის განვითარებისათვის. მეზობელ ქვეყნებთან ასეთი ურთიერთობის დამყარება, ინდოეთთან ჩვენი მეგობრობის სულ უფრო განმტკიცება, იაპონიასთან ურთიერთობის შესამჩნევი გაუმჯობესება დადებით გავლენას ახდენს საერთო ვითარებაზე აზიაში. სსრ კავშირმა წამოაყენა ამ კონტინენტზე კოლექტიური უშიშროების იდეა, რომელმაც დადებითი გამოხმაურება გამოიწვია აზიის ბევრ ქვეყანაში. საბჭოთა პოლიტიკა ხელს უწყობს აზიის ხალხთა შეკავშირებას ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, მშვიდობის განმტკიცებას.

ამას ეწინააღმდეგება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ანტილენინური ხაზი, ჩვენი სახელმწიფო ჩინეთის მიმართ თანმიმდევრულად ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს კურსს, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა, იგი ითვალისწინებს აქტიური წინააღმდეგობის გაწევას ჩინეთის ხელმძღვანელთა გამოთშეველური, სოციალიზმის საქმისადმი მტრული პოლიტიკის მიმართ, თანმიმდევრულ წინააღმდეგობას უწევს ჩვენი საშობლოს ინტერესებს ყოველგვარ ხელყოფას და ამავე დროს იჩენს მზადყოფნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, კეთილმეზობლობის დამყარებისათვის, ასეთი კურსი შეესაბამება როგორც სოციალისტური თანამეგობრობისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ინტერესებს, ისე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხთა ძირეულ ინტერესებსაც.

თავისი საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში სსრ კავშირი ხელმძღვანელობს სხვადასხვა საზოგადოებრივი ყოფიერების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპით, იღვწის საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. ეს განსაზღვრავს აგრეთვე უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყანასთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის გზების ძიებას. საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. პარტიის XXIV ყრილობაზე ამ საკითხმა თავისი ადგილი დაიკავა მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საერთო პროგრამაში. თანამედროვე მსოფლიო ვითარებაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციის ინტერესებისათვის ხავხებით შეეხსაბამება მსოფლიო სოციალიზმისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. საბჭოთა კავშირი საქმიანი რეალისტური პოზიციებიდან უდგება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონის მომავალ ვიზიტს სსრ კავშირში. ჩვენ სახარგებლოდ მიგვაჩნია გავაფართოოთ ისეთი ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ისე რომ არ დავშორდეთ ჩვენი პოლიტიკის პრინციპებს, მოვავაროთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საგარეო პოლიტიკის ბრძნულ ლენინურ კურსს, რომელსაც დაუცხრომლად ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და სამდივნო, საბჭოთა მთავრობა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხავსებით და ერთსულოვნად უჭერს მხარს მთელი საბჭოთა ხალხი. სკკპ XXIV ყრილობის საგარეო პოლიტიკურ პროგრამას. მშვიდობის პროგრამას იწონებენ და მხარს უჭერენ მოძმე კომუნისტური პარტიები, საზოგადოებრივობის ფართო წრეები, აღნიშნავენ რა მის უდიდეს მნიშვნელობას მშვიდობისა და პროგრესისათვის. ხალხთა თანამშრომლობისათვის, იმპერიალისტური აგრესიის კერების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ხორციელდება მსოფლიო ახპარიზზე მოდმივი დაძაბული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ამ ხხვადასხვა ძალების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში, რომლებიც აქტიურად გამოდიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საერთაშორისო გავლენის განმტკიცების წინააღმდეგ, ვითარება მოითხოვს შეუნელებელ ყურადღებას საგარეოპოლიტიკური საკითხებისადმი და ინიციატივას ამ დარგში. სწორედ ასე იქცევა ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველაზე განხორციელად ახორციელოს მშვიდობის პროგრამა, რომელიც XXIV ყრილობამ შეიმუშავა, და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად გამოიყენოს სხვადასხვა ფორმები და მეთოდები მისი რეალიზაციისათვის, ორგანულად დაუკავშიროს ახლანდელი დროის მიმდინარე უშუალო ამოცანების გადაჭრა მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და უშიშროებისათვის, საზოგადოებრივი პროგრესისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ხანგრძლივ პერსპექტივებსა და მიზნებს.

ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო „გადაწყვეტილება განახორციელოს 1973-1974 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრთა პარტიული დოკუმენტების გამოცვლა. პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია: „პარტიული დოკუმენტების გამოცვლა მოიწყოს, როგორც დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიება, და ითვალისწინებს პარტიის შემდგომი განვითარების, კომუნისტთა აქტივობისა და დისციპლინის ამაღლების ამოცანებს. მან ხელი ონოა შეუწყოს ყველა პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებას, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მეთი მუშაობის გაძლიერებას. პარტიული დოკუმენტების გამოცვლა საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ შინაპარტიული ცხოვრების შემდგომი აქტივიზაციისათვის, პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფისათვის, მასიაში იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებისათვის“.

ჩვენი პარტიის ძალაა კომუნისტების იდეურობა. აქტიურობა, თავდადება. პარტია ხალხის ლენინური ავანგარდია, რომელსაც იგი მიუძღვის დიადი შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად. მისი მორალური ავტორიტეტი მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო მაღალი იდეური და მორალური თვისებები იქნება თვითეულ კომუნისტს. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან იცავდნონ, რომ ყველა კომუნისტი მაქსიმალურად ითავდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს. საქმით ასრულებდნენ თავიანთ ავანგარდულ როლს წარმოიმასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. კომუნისტის მოვალეობაა კეთილსინდისიერად ეკადემდეს პარტიულ დავალებებს, გამუდმებით ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. იძო�ოდეს საბჭოთა კანონების, კომუნისტური ზნეობის ნორმებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის მაგალითს.

პლენუმმა დაადგინა, რომ უნდა გამოიცვალოს 1954 წლის ნიმუშის ყველა პარტიული ბილეთი და მისი ნაალრიცხვო ბარათი. პარტიული დოკუმენტები უნდა გამოიცვალოს მტკიცე ინდივიდუალური წესით. უშუალოდ პარტიის რაიკომებში, საქალაქო კომიტეტებში, პოლიტგანყოფილებებში, სადაც კომუნისტები მუდმივ აღრიცხვაზე არიან. ადგილებზე პარტიული დოკუმენტების გამოცვლის ხელმძღვანელობა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, ბოლო საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო ჯარების პარტორგანიზაციებსა და სხვა პარტორგანიზაციებში — პოლიტსამმართველოებსა და შესაბამის პოლიტგანყოფილებებს.

ახორციელებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობისა და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებაში. ეს ხელშემწყობ პირობებს ქმნის შემდგომი ეკონომიური მშენებლობისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ქვეყნის აყვავებისათვის. ხოლო რაც უფრო წარმატებით ვავითარებთ ეკონომიკას, მეცნიერებასა და კულტურას, მით უფრო მაღალია საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც მშვიდობის და სოციალიზმის საქმის მტკიცე და საიმედო დასაყრდენისა.

ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, ყველა მშრომელნი მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს მშობლიური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ლენინურ კურსს, მეცხრე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის თავდადებული ბრძოლის კურსს.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი ძლევამოსილი დროშით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის კომუნისტური მშენებლობის ახალი მწვერვალებისაკენ.

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲡᲣᲠᲕᲐᲚᲔᲓ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲜᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

სკკპ XXIV ყრილობაზე დასახული მშვიდობის პროგრამა თანამიმდევრულად ხორციელდება და მსოფლიო პოლიტიკის მძლავრი და ქმედითი ფაქტორი გახდა. ამას დამაჯერებლად მოწმობს ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მუშაობა და გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის პრინციპული ლენინური საგარეო პოლიტიკა შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოს, მსოფლიო სოციალიზმის, მთელი მსოფლიოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირეულ ინტერესებს.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მთელი პარტია ერთსულოვნად იწონებს პოლიტბიუროს გეზსა და პრაქტიკულ საქმიანობას საგარეო პოლიტიკის დარგში.

მტკიცე და საიმედო მშვიდობა სჭირდება მთელ ხალხს. მშვიდობის მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილია სახელმწიფოებისა და მათი მთავრობების ხელმძღვანელთა ურთიერთვიზიტები, მოლაპარაკება თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების თაობაზე.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ნათელი და გარკვეულია. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების კურსმა უკვე მოუტანა მას მთელი რიგი დიდი წარმატებანი. ამ კურსისადმი ერთგულება მშვიდობისა და პროგრესისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის და იმპერიალისტური აგრესიის კერების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში ახალ მიღწევათა საწინდარია.

აკადემიკოსი Ი. ᲕᲔᲫᲣᲐ.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა იმპერიალისტური აგრესიული პოლიტიკის მტკიცე მოგერიებას უცვლელად უხამებენ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების კონსტრუქციულ ხაზს.

ჩვენი პარტიის ძალაა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება, კომუნისტთა იდეურობა, აქტივობა და თავდადება. ჩვენი ფაბრიკის მრავალეროვანი პარტიული ორგანიზაციის 500 კომუნისტი ერთსულოვნად იწონებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი წარმატებებით უპასუხებს მათ.

Ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ პარტკომის მდივანი. (საქინფორმი)

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲘᲩᲐᲠᲓ Მ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘ

22 მაისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ მ. ნიქსონი.

რ. მ. ნიქსონთან და მის მეუღლესთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უილიამ პ. როჯერსი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰენრი ა. კისინჯერი, ამერიკის შეერთებული შტატების განიარაღების და შეიარაღებისადმი კონტროლის საკავშირო დირექტორი ჯერარდ სმიტი, პრეზიდენტის თანაშემწე პატრიკ უელანიანი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე მარტინ ჯ. ჰილსბრანდი.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე პრეზიდენტ ნიქსონს და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. ი. ია ს ნოვი, ა. პ. პეტროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ბირილინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ჰ. ბეგლარაშვილი, სსრ კავშირის მინისტრები ბ. ვ. ბუტაგოვი, ა. ა. გრეჩკო, ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. მატკევიჩი, ნ. ს. პატოლიჩევი, ბ. ე. პეტროვსკი, ე. ა. შურკოვა, ნ. ა. შელოკოვი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ფ. დობრინინი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ს. პუზანოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომზე იყვნენ ქალაქ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები.

შემხვედრთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯეიმს დ. ბეიმი, საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტები.

საფრენ ზოლადანზე ჩამწკრივებული იყო სსრ კავშირის სამი სახეობის ეროვნული ალმების სალამური ყარაული — ქვეითები, მფრინავები, მეზღვაურები. შესრულდა სახელმწიფო ჰიმნები.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მიიღო სალამური ყარაულის უფროსის ბატკი. რ. ნიქსონმა და ნ. ვ. პოდგორნიმ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს.

აეროდრომიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნ. ვ. პოდგორნისთან და ა. ნ. კოსიგინთან ერთად მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით გაეშართა მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში კრემლში.

ქუჩები და მოედნები, სადაც გაიარა ავტომანქანების კორტეჟმა, რომლებშიც იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირნი, მორთული იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით. (საკვლევი).

პარტიული ცხოვრება

კომუნისტის ადგილი — მინდორი, ფერმა

ჯარდამავალი წითელი დროშა დადემსახურეთ ხილის წარმოებისა და დამზადების ბრიგადების შესრულებაში საქართველოს სსრ მეორე ჯგუფის რაიონებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ამ წარმატებებს ერთგვარი ჩრდილი მიაყენა მხოლოდ ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დაგალებათა შეუსრულებლობამ. ეს კი სერიოზული ხარვეზია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლის 70-80 პროცენტს ეს დარგი გვაძლევს.

ყურძნის დაბალი მოსავლიანობის მიზეზი ძირითადად ამინდის მძიმე პირობებს უნდა მიეწეროს. მაგრამ მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობათა და მიწათმოქმედების შესანიშნავ ოსტატთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი პირობებშიც კი შეიძლოთ ყველგან წარმატებით ებრძოლოთ სტიქიის წინააღმდეგ, ერთსულოვნად დარაზმულიყვნენ ვენახების გადასარჩენად, ორნივრულად გამოიყენებინათ ამ დარგში შეძენილი გამოცდილება. ამის მაგალითია ბოშეტის კოლმეურნეობა, რომელმაც სახელმწიფოს გეგმის გადამტრეთ 130 ტონა ყურძენი მიუწონა.

სოფელ აკურაში მზრუნველობა მოაკლეს ვენახს. ამის გამო, რომ კოლმეურნეობაში დაბალი იყო შრომის დისციპლინა და ორგანიზაცია, დაგვიანებენ, უხარისხოდ სრულდებოდა სამუშაოები ვენახებში, ხეხილის ბაღებში, ბაღჩებისტნებში, მარცვლეულ კულტურათა ნათესებში. ვერც მეცხოველეობის ფერმებში იყო კარგად საქმე.

ამ დარღვევებისა და კოლმეურნეობისადმი სრულიად არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. იორდანიშვილი საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღარ აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო პარტიული ორგანიზაციის მდივანს დ. გოჩიაშვილს, რომელიც საკმაო კონტროლს არ უწევდა გამგეობის სამეურნეო საქმიანობას, სუსტად ხელმძღვანელობდა პარტიულ-პოლიტიკურ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას, ურიგდებოდა დარღვევებსა და დანაშაულს, რაიკომის ბიუროს პარტიული სასჯელი დაადო.

არც ვანთის კოლმეურნეობაში ჭრიდათ შარშან საქმე დასაკვნინაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" მეტ-ნაკლებად ეხება ჩვენი რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსაც.

პარტიული ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა სიფხიზლე მოადუნა და თვითდინებას გაჰყვა, კოლმეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე თავი იჩინა შრომის დისციპლინის დარღვევის, სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტებმა და სხვა უწესივრობამ. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ასეთ მოვლენებს.

სოფელ ართანის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, რომ კოლმეურნეობის გამგეობა სუსტად ებრძოდა საკოლმეურნეო ქონების ხელყოფისადან დაცვისადან. რაიკომმა გულდასმით შეისწავლა ეს საკითხი. გამოირკვა, რომ ართანაში მარნალაკ ჰქონდა ადგილი სერიოზულ დარღვევებს, საკოლმეურნეო ქონებისადმი უყაირათო დამოკიდებულებას. შექმნილი მდგომარეობა რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პარტიული სასჯელი დაედო, ხოლო ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ღონისძიებები დაისახა. რაიკომის დადგენილება შემდეგ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე განიხილეს.

რაიკომის პლენუმებზე, პარტიული აქტივისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ასსრ შრომელთა ინიციატივას. სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის თაობაზე, სოფელ ფშავლოს კოლმეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს იბრძოლონ საუნალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდის მისაღებად და მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეობებს.

მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს ნაკისრ ვალდებულებათა გადასრულებულ სამეურნეო წლის შედეგებს, გაგიფგალისწინეთ არსებული ნაკლოვანებები, აგვონ-დაგვწინეთ გამოუყენებელი რეზერვები და რაიონის სახალხო მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1972 წლისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებანი ვიკისრეთ.

წელს საზოგადოებრივ მეურნეობებში გეგმის გადამეტებით გაწარმოებთ: 2.166 ტონა ყურძენს, 279 ტონა მარცვლეულს, აგრეთვე დიდძალ ბოსტნეულს, ხილს, მეცხოველეობის პროდუქტებს. გადამეტებით შეკასრულებთ სახელმწიფო შესყიდვის გეგმებსაც. საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 53 ცენტნერ ყურძენს (50 ცენტნერის ნაცვლად), 20 ცენტნერ მარცვალს (ნაცვლად 17-ისა). ყოველ 100 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე შევინარჩუნებთ 80-ს, ყოველ დედაღორზე გავზრდით 10 გოჭს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის უფრო მაღალი ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, ბრიგადებმა, ჯანყოფილებებმა, რგოლებმა, ფერმებმა.

შრომითი კოლექტივების ძალა კომუნისტებში, პარტიულ ორგანიზაციებშია. **კომუნისტები იქ არიან, სადაც წყდება უხვი მოსავლის ბედი** — მინდორებში, ვენახებში, ბაღებში, მეცხოველეობის ფერმებში, სახელოსნოებში.

მაღალი მოთხოვნები, ახლა რომ უყენებენ თვითეულ კომუნისტს, ნაკარნახევია იმ დიდი ამოცანებით, რომლებიც პარტიისა და ხალხის წინაშე დგას სამეურნეო, და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. პარტიის რაიკომის ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა იქითკენ არის მიმართული, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შექმნან პირობები თავიანთ წევრთა აქტივობის მაქსიმალური განვითარებისათვის, მეიზიდონ ისინი ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, აღზარდონ მათში ისეთი თვისებები, რომლებიც აუცილებელია კომუნისტისათვის, ჩვენს ეროში.

წლეგანდელი უჩვეულო ზამთრის განსაკუთრებული სიძნელეები გვაგალებენ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოვიჩინოთ ნათესებისადმი, ვენახებისა და ხეხილის ბაღებისადმი, თვალისჩინივით მოვუაროთ მათ, მინიმუმამდე შეგამციროთ სტიქიისაგან გამოწვეული ზარალი. თესვა შემეფიდროებულ ვადებში ჩავატაროთ და ახლა გაძლიერებული ტემპით ვამუშავებთ ნათესებს. ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობაში მკაცრი ზამთრის მაგვე შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ყურადღების ღირსია სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ა. ჯავახიშვილი) პატრიოტული თაოსნობა. მან მეცხოველეობის რენტაბელურ დარგად გადაქცევის მიზნით ღია პარტიული კრება მოიწვია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში.

„ვარდისუბნელმა მეცხოველეებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს, სოციალისტურ შეჯიბრებაში რუსეთისფედერაციის ფერმებთან გამოწვევის და რაიონის მეცხოველეებს მიმართეს მოწოდებით ფართოდ გაიაზოონ სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის ვალდებულებათა განაღდებისათვის, რათა სანაქებო მაჩვენებლებით შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილეს.

ვარდისუბნელ მეცხოველეთა მოწოდება დაიბეჭდა რაიონულ გაზეთში. მან დიდი გამოხმაურებაც გამოიწვია.

მოწონების ღირსია ეკრეთვე პარტიის რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მიერ სანიორეში ამ სოფლის კოლმეურნეობის მიღწევათა მაგალითზე მოწყობილი **სამეცნიერო-ეკონომიური კონფერენცია,** რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლებმა და რომელმაც შესაფერისი რეკომენდაციები შეიმუშავა.

როცა გაეცნენ ყაბარდო-მალყარეთის ასსრ შრომელთა ინიციატივას. სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის თაობაზე, სოფელ ფშავლოს კოლმეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს იბრძოლონ საუნალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდის მისაღებად და მოწოდებით მიმართეს რაიონის კოლმეურნეობებს.

მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს ნაკისრ ვალდებულებათა გასულ სამეურნეო წლის შედეგებს, გაგიფგალისწინეთ არსებული ნაკლოვანებები, აგვონ-დაგვწინეთ გამოუყენებელი რეზერვები და რაიონის სახალხო მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე 1972 წლისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებანი ვიკისრეთ.

წელს საზოგადოებრივ მეურნეობებში გეგმის გადამეტებით გაწარმოებთ: 2.166 ტონა ყურძენს, 279 ტონა მარცვლეულს, აგრეთვე დიდძალ ბოსტნეულს, ხილს, მეცხოველეობის პროდუქტებს. გადამეტებით შეკასრულებთ სახელმწიფო შესყიდვის გეგმებსაც. საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანთ 53 ცენტნერ ყურძენს (50 ცენტნერის ნაცვლად), 20 ცენტნერ მარცვალს (ნაცვლად 17-ისა). ყოველ 100 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე შევინარჩუნებთ 80-ს, ყოველ დედაღორზე გავზრდით 10 გოჭს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის უფრო მაღალი ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, ბრიგადებმა, ჯანყოფილებებმა, რგოლებმა, ფერმებმა.

შრომითი კოლექტივების ძალა კომუნისტებში, პარტიულ ორგანიზაციებშია. **კომუნისტები იქ არიან, სადაც წყდება უხვი მოსავლის ბედი** — მინდორებში, ვენახებში, ბაღებში, მეცხოველეობის ფერმებში, სახელოსნოებში.

მაღალი მოთხოვნები, ახლა რომ უყენებენ თვითეულ კომუნისტს, ნაკარნახევია იმ დიდი ამოცანებით, რომლებიც პარტიისა და ხალხის წინაშე დგას სამეურნეო, და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. პარტიის რაიკომის ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა იქითკენ არის მიმართული, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შექმნან პირობები თავიანთ წევრთა აქტივობის მაქსიმალური განვითარებისათვის, მეიზიდონ ისინი ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, აღზარდონ მათში ისეთი თვისებები, რომლებიც აუცილებელია კომუნისტისათვის, ჩვენს ეროში.

წლეგანდელი უჩვეულო ზამთრის განსაკუთრებული სიძნელეები გვაგალებენ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოვიჩინოთ ნათესებისადმი, ვენახებისა და ხეხილის ბაღებისადმი, თვალისჩინივით მოვუაროთ მათ, მინიმუმამდე შეგამციროთ სტიქიისაგან გამოწვეული ზარალი. თესვა შემეფიდროებულ ვადებში ჩავატაროთ და ახლა გაძლიერებული ტემპით ვამუშავებთ ნათესებს. ბევრი რამ

სწავლის ნაყოფი

შემაჯამებელ მეცადინეობაზე

ემაჯამებელი მეცადინეობაც ჩვეულებრივ სადამოს 5 საათზე იყო დანიშნული. ერთი საათი ცვლის დამთავრების შემდეგ აუცილებლად სჭირდებათ მეფოლადეებს, რომ ხელმარი დაიბანონ, გადაიცვან და თვალი გადაავლონ კონსპექტებს.

დღევანდელი მეცადინეობა, ცხადია, არა ჰგავდა წარსულ შეხვედრებს. ახლა უნდა მომზადარიყო იმის დადგენა, თუ როგორ აითვისეს მსმენელებმა პროგრამით გათვალისწინებული მთელი მასალა.

მეცადინეობის დაწყებისთანავე ნათელი გახდა — მეფოლადე კომუნისტებმა ნამდვილად მაღალი თეორიული ცოდნა გამოამჟღავნეს.

მარტენის საამქროს ოსტატ ელექტრიკოსს ვ. სალარიძეს პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მან მეცადინეობა სიის ამოკითხვით დაიწყო. ყველანი უკლებლივ მოსულიყვნენ. თვითეულ მსმენელს აკურატულად ედო წინ კონსპექტი, ჩანაწერი.

წრეში გაერთიანებული კომუნისტები გასულ სასწავლო წელს პოლიტიკურ ეკონომიას სწავლობდნენ, წელს კი აქ გადაწყვეტილს მეცნიერული კომუნიზმის აქტუალური საკითხების შესწავლა. ძირითად სახელმძღვანელოდ პროპაგანდისტსა და მსმენელებს გამოყენებული ჰქონდათ სკკპ XXIV ყრილობის მასალები, ვ. აფანასიევის წიგნი „მეცნიერული კომუნიზმი", ამ თემისადმი მიძღვნილი წიგნები, ბროშურები, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი.

მსმენელებს უკეთ მომზადებაში უდავოდ დაეხმარა ის, რომ სასწავლო წლის ბოლოს ერთხელაც არ გაცდენიათ მეცადინეობა, რომელიც ყოველთვის მაღალ იდეურ დონეზე ეწყობოდა. აქ მიაღწიეს იმას, რომ ყოველი საკითხის გაშუქებისას აქტიური მონაწილეობა მიიღო წრის თვითეულ წევრს.

პროპაგანდისტმა ვ. სალარიძემ, ერთხელ კიდევ რომ დარწმუნებულიყო მსმენელთა თეორიულ მომზადებაში, გაკვლილი მასალების შესახებ კითხვებით მიმართა დარბაზში მსხდომთ. ეს კითხვები შეეხებოდა საკითხებს, თუ რას წარმოადგენს მეცნიერული კომუნიზმი, როგორ ესმით მსმენელებს კომუნისტური პარტიის მანიფესტი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და მსოფლიო რევოლუციური პროცესი, ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მეგარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში", მსოფლიო სოციალისტური სისტემა, როგორც გადამწყვეტი ძალა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავება თანამედროვე ეტაპზე, ანტიკომუნიზმი, როგორც იმპერიალიზმის მთავარი იდეურ-პოლიტიკური იარაღი და სხვ.

კითხვებზე მსმენელებმა სრულფასოვანი, დამაჯერებელი პასუხი გასცეს. მაგალითად, ჩამბარიერავი მანქანის მემანქანემ ვ. მიქაკაძემ განმარტა, რომ მეცნიერული კომუნიზმი არის მეცნიერება კაპიტალიზმის მოსპობის გზებისა და საშუალებების შესახებ, ახალი, კომუნისტური საზოგადოების, ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის ეკონომიური, სოციალური და სულიერი პირობების შექმნის კანონზომიერებათა შესახებ. შემდეგ იქვე, ჩამომხმელმა ნ. გოგელიამ დაუმატა, რომ მეცნიერული კომუნიზმი ეს არის მეცნიერება კომუნისტურ საზოგადოებაზე, როგორც რთულ სოციალურ ორგანიზმზე, მეცნიერება — ადამიანის ინტერესების შესაბამისად საზოგადოებრივი პროცესების შეგნებულ, მიზანდასახულ მართვაზე.

ვ. ი. ლენინის მიერ სოციალისტური რევოლუციის თეორიის განვითარებაზე ილაპარაკა ჩამომსხმელმა ა. ბერიძემ. სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი რგოლი,—თქვა მსმენელმა,—ვ. ი. ლენინის გენიალური აღმოჩენა თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ბერიძემ, აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ პრინციპის დასაბუთებაში ვ. ი. ლენინი გამოდიოდა იქიდან, რომ კაპიტალისტური უეცარების განვითარება ხდება მეტად [illegible] — [illegible] ელექტრიკოსმა ვ. კაპანაძემ.

—როგორც პარტია გვასწავლის, მასებში და მასებთან მუშაობის ცოდნა, — თქვა ვ. კაპანაძემ, — მთავარია პარტიის მოღვაწეობაში. იყო მასებთან ახლოს. იცნობდე მათს განწყობილებას, საჭიროებებს, გერდეს ადამიანისადმი მიდგომის უნარი და, და მოიპოვო ხალხის აბსოლუტური ნდობა — აი როგორ აყენებს საკითხს ვ. ი. ლენინი.

შემაჯამებელ მეცადინეობას წითელ ზოლად გასდევდა სკკპ XXIV ყრილობის ძირითად დებულებათა ღრმად ცოდნა. აბასთან პროპაგანდისტი და მსმენელები თეორიულ საკითხებს უკავშირებდნენ პრაქტიკულ საქმიანობას. საამქროს ოსტატმა თ. ტატაშვილმა აღნიშნა, რომ კომენისმის ბულისხმობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. ეს კი დამოკიდებულია თვითეულ ჩვენგანზე. ფოლადი, რომელსაც ჩვენ ვადნობთ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთ-ერთი პროდუქციაა. არ გვიპატიებს, რომ წელს პირველ კვარტალში ერთობ შეკვნელეთ ტემპი, თუმცა ეს მდგომარეობა აპრილში გამოვასწორეთ.

თ. ტატაშვილმა მოიყვანა სანტერესო ფაქტი იმ ტექნიკურ პროგრესზე, რაც საამქროში მოახდინეს წრის მსმენელებმა ვ. მეცხვარიაშვილმა, ვ. გიგიბერიამ, პროპაგანდისტმა ვ. სალარიძემ, მათი უშუალო ინიციატივით საამქროში განსორციელეს ღუმელების სახურავების რეკონსტრუქცია, ღუმელების ქმედების რეჟიმი, ელექტროსქემების შეცვლა.

ზ. მერკვილაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

მართვა — მეცნიერულ დონეზე

მგეგმავ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

პარტიის XXIV ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა საერთოდ მართვის, კერძოდ, დაგეგმვის სრულყოფისა და მისი მეცნიერული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ამ სადირექტივო გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

სწორედ დაგეგმვის გაუმჯობესების აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების მუშაკთა ერთთვიანი თათბირ-სემინარი, რომელიც ახლახან თბილისში დამთავრდა. მასში მონაწილეობდნენ აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ყველა ქალაქისა და რაიონის საგეგმო კომისიების თავმჯდომარეები და თანამშრომლები.

თათბირ-სემინარის გახსნისას მონაწილეებს მიესალმა დ. შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა ი. მიქელაძემ.

თათბირ-სემინარის „კვლავწარმოების ინტენსიფიკაციის საკითხები საქართველოში" წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. მელქაძემ. ორატორმა სათანადო მეცნიერულ დონეზე გაუკეთა ანალიზი ამ უაღრესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემას.

მსმენელთა საერთო მოწონება დაიმსახურა პროფესორ მ. კაკულიძის ლექციამ. მან დამაჯერებლად განმარტა წარმოების მართვის საჭიროებანი და ის ღონისძიებანი, რომლებიც ამჟამად უკვე ხორციელდება.

ლექცია-მოხსენებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სწავლული ეკონომისტები, პროფესორები კ. ჩარკვიანი, ბ. ჭელტი, ვ. კუპუბიძე; დოცენტები ო. ვაშაკიძე, ი. ქადარია, ვ. გაფრინდაშვილი, რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ბ. გიგიბერია, ვ. ეპიტაშვილი, მ. გოკიელი, ჟურნალ „საქართველოს სალსრო მეურნეობის" მთავარი რედაქტორი თ. გოქსაძე, სახმენის ვაჭრობის სამინისტროს და სხვა დაწესებულებათა სპეციალისტები.

მეცადინეობის პერიოდში თათბირ-სემინარის მსმენელებს წაეკითხათ ლექციები რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და დაგეგმვის საკითხებზე. სამეცადინო გეგმაში დიდი ადგილი დაეთმო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემებს, საბალანსო გაანგარიშებებს, დაგეგმაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას, ეკონომიური სტატისტიკისა. და აღრიცხვის მექანიზაციის საკითხებს.

თათბირ-სემინარზე ადგილობრივმა საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელებმა და წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება. ინფორმაციით გამოვიდნენ როგორც ავტონომიური რესპუბლიკების, ისე თბილისისა. და რაიონების საგეგმო ორგანიზაციების თანამშრომლები. მოგწყო პრაქტიკული მეცადინეობანი. თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ნახეს სამეცნიერო-პოპულარული შინაარსის კინოფილმები, გაეცნენ თბილისში მოქმედი გამოთვლითი ცენტრების მუშაობას, დაათვალიერეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, თბილისის სხვა ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობაში. თათბირ-სემინარის შედეგები შეაჯამა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. ჯაფარიძემ.

კ. ელიზბარაშვილი.
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

„კომუნისტის" ფოსტიდან

● **ბათუმი.** საზოგადოება „ცოდნის" აჭარის ხალხმეურნეობიერ ორგანიზაციამ სახელმწიფო ვაჭრობის ტექნიკუმსა და ბამბუკის საავეჯო ფაბრიკაში მოაწყო ლექტორის დღე. ქალაქის პროკურორმა კ. თენიეშვილმა, აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეებმა ო. მხატვარმა და ლ. კვერნაძემ, აჭარის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა თ. ინაშვილმა ტექნიკუმის ცალკეულ კურსებზე, ბამბუკის საავეჯო ფაბრიკის საამქროებში წაიკითხეს ლექციები თემებზე — „სახელმწიფო საკუთრების დაცვა თვითეული მოქალაქის ვალია", „ასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის", „არასრულწლოვანი დანაშაულს რომ არ სჩადიოდეს".

ნ. საგინაძე.

● **ზუგდიდი.** თხუთმეტი წელია, რაც ლიდა შაბაროვა კავშირგამშულობის რაიონულ კვანძში ფოსტალიონად შუშობს. კარგი მუშაობით მან თავისი უბნის მცხოვრებთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ბ. ალშიგაია.

ვარციხის მეგენახეობის ხაბჭოთა მეურნეობაში (მაიაკოვსკის რაიონი) შეუდგენენ ვენახის შეშამლას ბორდოს სითხით. წელს ვარციხელები ამირობას იძლევიან 300 ჰექტარი სრულმოსავლიანი ფართობიდან მიიღონ 1.200 ტონა ყურძენი. **ხურათებზე:** ზემოთ — მოწინავე მექანიზატორი ბ. ბელხვიძე, რომელიც დღეში 7 ჰექტარს ასხურებს ბორდოს სითხეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 ჰექტარისა; ქვემოთ — მეურნეობის ვენახებში მიმდინარეობს ბორდოს სითხით შეშამლის სამუშაოები.

დ. ბერსამის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



„კომუნისტის" ფოსტიდან

● **ბათუმი.** საზოგადოება „ცოდნის" აჭარის ხალხმეურნეობიერ ორგანიზაციამ სახელმწიფო ვაჭრობის ტექნიკუმსა და ბამბუკის საავეჯო ფაბრიკაში მოაწყო ლექტორის დღე. ქალაქის პროკურორმა კ. თენიეშვილმა, აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეებმა ო. მხატვარმა და ლ. კვერნაძემ, აჭარის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა თ. ინაშვილმა ტექნიკუმის ცალკეულ კურსებზე, ბამბუკის საავეჯო ფაბრიკის საამქროებში წაიკითხეს ლექციები თემებზე — „სახელმწიფო საკუთრების დაცვა თვითეული მოქალაქის ვალია", „ასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის", „არასრულწლოვანი დანაშაულს რომ არ სჩადიოდეს".

ნ. საგინაძე.

● **ბაკურიანი.** ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კეთილმოწყობილ ტერიტორიას, მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებულ თვალსაჩინოებასთან ერთად მოწინავე გამამდიდრებელთა სპეტიო დაფაც აშშვენებს. აქ ოცამდე მოწინავე ადამიანის პორტრეტია გამოფენილი. სპეტიო დაფის ერთი კუთხე ახალი ბუთწლედის ამსახველ დიაგრამებს უჭირავს.

ლ. არსენიძე.

● **ზუგდიდი.** თხუთმეტი წელია, რაც ლიდა შაბაროვა კავშირგამშულობის რაიონულ კვანძში ფოსტალიონად შუშობს. კარგი მუშაობით მან თავისი უბნის მცხოვრებთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ბ. ალშიგაია.

ერთი კრიტიკული წერილის კვალდაკვალ

გაგა ეს ეოსახურებაა?

ოლაქციაში რამდენიმე საჩივარი შემოვიდა ცხინვალიდან. მშრომელები გვწერენ ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, სერიოზულ დარღვევებზე. ჩვენც მიგვეცით ხარვეზების აღმოსაფხვრელად ღონისძიებები. ახლა ეს ეროვნული ინფორმაციაა.

ლამაზი ქუჩების ბაჯარიდინზე ღგას ახლადნაგები ორსართულიანი შენობა. შორიდან მოჩანს მოგრძო დარბაზი, ფართო ფანჯრებიანი ოთახები, სარდაფები, შენობა ჯერ თავისუფალია. მხოლოდ ორიოდე ქალი დაგინახავთ ოფთარ ხალათებში გამოწყობილნი. ისინი პარიკმახერები აღმოჩნდნენ.

— რა მოთაგსდება ამ შენობაში? შეეკითხეთ იქვე მდგომ მოხუც ქალს.

— ამბობენ, შვილო, ყველაფერი ხიკეთე აქ უნდა იყოსო. გვპირდებიან, გაიხსნება სპოკაინო აეჯის შემკეთებელი სამჭრო, მოეწყობა რადიოაპარატურის სარემონტო, იქნება ფოტოატელიე... ერთი ხიტკვით, მშრომელებს მოემსახურება. მაგრამ, დაუმატა მან, იქნება კი? აგერ ხუთი თვეა აეჯის შემკეთებლებს ველოდებით, მაგრამ ამაოდ.

სოჯახო აგეჯის შემკეთებელი სამჭროს უფროსმა გ. ძერაფო

საერთაშორისო დღის

ბრძოლები ინდოჩინეთში

ნიუ-იორკი. 22 მაისი. (საკლესი). სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა ფრონტზე გრძელდება ბრძოლები. განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ნაწილებმა ახლა გადამწყვეტი მოქმედება წამოიწყეს ჩრდილოეთ სექტორში. საარტილერიო ცეცხლის შემდეგ პატრიოტებმა ტანკების დახმარებით გუშინ გადალახეს მდინარე მიტიანი 30 კილომეტრზე ჰიუეს ჩრდილოეთით და განავითარეს შეტევა ამ ქალაქის მიმართულებით.

მარიონეტული ჯარები სერიოზულ ზარალს განიცდიან. მათ დატოვეს, კერძოდ, საარტილერიო ბაზა № 1 გზაზე მიტიანის პუნქტის სამხრეთით. დასავლეთის სააგენტოების კორესპონდენტთა ცნობებში აღნიშნულია, რომ ამ რაიონში ძლიერდება პატრიოტთა ომერშები.

ცენტრალურ პლატოზე დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქ კონტუმის გარშემო. საიგონის სარდლობა ცდილობს აღადგინოს კონტროლი № 14 გზის მიმართ, რომელიც პლეიკუს კონტუმთან აკავშირებს. მაგრამ ინიციატივა განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ხელშია. დღეს მათი ომრეშების შედეგად დაეცა მტრის 41-ე ბაზა, რომელიც მდებარეობს 22 კილომეტრზე პლეიკუს სამხრეთით.

ამერიკის ტაქტიკური აგიაცია და ხომალდები მასირებულად ბომბავენ და ცეცხლს უშენენ სამხრეთ ვიეტნამის რაიონებს, და კერძოდ ცენტრალურ პლატოსა და სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთ სექტორს.

კანონი. 22 მაისი. (საკლესი). სამხრეთ ვიეტნამიდან მოდის ცნობები, რომ გაფფორებული ბრძოლები მიმდინარეობს ქალაქ ანლოკის რაიონში, რომელიც მდებარეობს № 13 გზაზე 90 კილომეტრზე საიგონიდან. ამ უკანასკნელ დღეებში მარიონეტულმა ჯარებმა გაფფორებული კონტრერეიშები მიიტანეს ამ რაიონში, რათა გაპრიელიენენ ანლოკისაკენ, სადაც ალყაშემორტყმულია რამდენიმე ათასი საიგონელი ჯარისკაცი. პატრიოტები მძლავრი ცეცხლით ხვდებიან მოწინააღმდეგეს. მარტო 19 და 20 მაისის ბრძოლების მსვლელობაში განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 640 ჯარისკაცი და ოფიცერი. განთავისუფლების ძალებმა 16 აპრილიდან 6 მაისამდე № 12 გზის რაიონში პატრიოტებმა დაბომბეს, დაბერეს და ტყვედ ჩაიგდეს 2 ათასზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 100-მდე სამხედრო მანქანა და ჩამოაგდეს 30 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

პარიზი. 22 მაისი. (საკლესი). ლაოსის პატრიოტებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს მთელი რიგი რაიონები სიდიდით მეორე ქალაქის პაქსეს ახლოს. მემარჯვენე ძალების 3 ბატალიონმა, რომელთა პოზიციები 20 კილომეტრზეა ამ ქალაქის აღმოსავლეთით, გუშინ არტილერიის ცეცხლი დაუშინეს პატრიოტებმა.

კამბოჯიდან იუწყებიან, რომ პატრიოტთა წარმატებითი ოპერაციების შედეგად კომპონთხომის პროვინციაში უკანასკნელი ორი დღის მანძილზე პნომპენის ჯარები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ათი ციდეკი ოთხი დიდნაშენელოვანი გამაგრებული პუნქტი.

კანონი. 22 მაისი. (საკლესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დამცველებმა 21 მაისს ნინბინისა და ნგეანის პროვინციებში ჩამოაგდეს ორი ამერიკული თვითმფრინავი. ამრიგად, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცაში მოსპობილ ამერიკულ თვითმფრინავთა საერთო რიცხვმა 3.590-ს მიაღწია.

ამერიკის პრესა რ. ნიქსონის ვიზიტის შესახებ

ამერიკული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის მომავალ მოსკოვის მოლაპარაკებას.

„მსოფლიო, რა თქმა უნდა, მოესალმება დაძაბულობის ყოველგვარ შენელებას“ ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი მოლაპარაკება მოიცავს ორი ქვეყნის ორმხრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ ბევრ პრობლემას.

გაზეთის აზრით, მოსკოვის მოლაპარაკების შეუძლია ხელი შეუწყოს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების მიღწევას. „როგორც ჩანს, შეიქმნა ხელსაყრელი პირობები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარებისათვის“, — წერს გაზეთი.

გაზეთი „ეროსჩენ საიენს მონიტორი“ აცხადებს, რომ მოსკოვში მოსალოდნელია „ფრიად რთული მოლაპარაკება“, რომელიც ვერ აღმოფხვრის არსებულ უთანხმოებებს, და ამავე დროს გამოთქვამს იმედს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას მოჰყვება შეთანხმება უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რაც „წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დაძაბულობის შენელების გზაზე“.

საქმიანი წრეების ორგანოები— ჟურნალი „ბიზნეს უიკი“ და გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერსი“ გამოთქვამენ აზრს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას შეაძლება მოჰყვეს შეთანხმება ვაჭრობის განვითარების შესახებ და საბოლოო ანგარიშით — შეთანხმებანი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიური ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტზე. „ბიზნეს უიკის“ აზრით, არის ხელშემწყობი შესაძლებლობანი, რომ ბიძგი მიეცეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობას. (საკლესი. 22 მაისი).

„ჩვენი მიზანია სოციალისტური საზოგადოების აშენება!“, „სოციალიზმი მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალური პროგრესის გარანტიაა!“, „გაუმარჯოს სოციალიზმს!“ — ასეთი ლოზუნგებით გაემართა სომალის დედაქალაქში მახობრივი მიტინგი შრომის პირობების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ახალი კანონმდებლობის მხარდასაჭერად, რომელიც მიიღო სომალის უმაღლესმა რევოლუციურმა საბჭომ.

ახალი შრომითი კანონმდებლობა იძლევა შრომის უფლების, ანაზღაურებული შვებულების, პენსიებისა და სხვა სოციალური უპირატესობების გარანტიებს.

სურათზე: მიტინგი სომალის დედაქალაქ მოგადიშოში. საკლესის ფოტოქრონიკა.

ლაპარაკი მასობრივი მიტინგი

დიდი მადლობა სსრ კავშირს

22 მაისი. (საკლესი). ღამის მცხოვრებთა მასობრივი მიტინგით დამთავრდა ბანგლადეშის ეროვნული სახალხო პარტიის საერთო ეროვნული კონფერენცია.

„დამოუკიდებლობისათვის ცხრა თვის ბრძოლის განმავლობაში ჩვენი ქეყნის ხალხი დარწმუნდა, თუ ვინ არიან მისი მეგობრები და ვინ მტრები“, განაცხადა ეროვნული სახალხო პარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. პ. ჰპატაჩარჯამ. საბჭოთა კავშირთან და ინდოეთთან მეგობრობის განმტკიცება და განვითარება, რომლებიც დაგეხმარნენ და მხარი დაგვიჭირეს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, აღნიშნა მან, შეეხებამეა ბანგლადეშის ეროვნულ ინტერესებს.

კონფერენციის დელეგატებმა მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე. ეროვნული სახალხო პარტია რეზოლუციაში ეკონომიურ საკითხებზე მიესალმება ეროვნული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციას, რომელიც მთავრობამ განახორციელა.

კონფერენციის მონაწილენი ერთსულოვნად მიესალმნენ საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერასა და ინდოეთისა და ბანგლადეშის მეგობრობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის ხელშეკრულების დადებას.

პოლიტიკურ რეზოლუციაში მათ დიდი მადლობა გადაუხადეს სსრ კავშირის ხალხსა და მთავრობას ბანგლადეშის ეკონომიკის აღდგენაში გაწეული დახმარებისათვის.

ლონდონი ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის

22 მაისი. (საკლესი). დამთავრდა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული კონფერენცია, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა.

საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა დელეგატებმა, პროფკავშირების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს საბჭოთა კავშირის უდიდესი როლი მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ხაზი გაუსვეს, რომ სსრ კავშირის კონსტრუქციულ და მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას სულ უფრო მეტად უგერენ მხარს ინგლისელი მშრომელები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდა საზოგადოებას ყველა წევრს მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ინგლისელ მოსახლეობისათვის სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განმტკიცებას, რაც ხელს შეუწყობს ორი ხალხის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას და ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას.

კონფერენციამ დაგმო ინგლისის კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ყოველნაირად ამბოკლებს სრულიად ევროპის თანმბირის მოწვევას უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე.

კონფერენციამ აირჩია ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული საბჭო, რომელშიც შევიდა 30 კაცი. საზოგადოების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ლორენს ბრედშოუ.

ვაშინგტონი უ. ფულბრაიტის განცხადება

22 მაისი. (საკლესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა უ. ფულბრაიტმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის მოგზაურობას საბჭოთა კავშირში.

ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ პრეზიდენტი საბჭოთა კავშირში ვიზიტად მიემგზავრება „ყველაზე შესაფერის დროს“, როცა მთელი მსოფლიო და თვით შეერთებული შტატები დგანან „რთული სერიოზული პრობლემების წინაშე“.

უ. ფულბრაიტმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკების შედეგად შეიძლება დაიდოს დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი, მათ შორის შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. სენატორმა აღნიშნა, რომ შესაძლოა მიღწეულ იქნეს შეთანხმებანი ვაჭრობის დარგში და კოსმოსური სივრცის კვლევაში.

ვაშინგტონი

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ვიზიტი

საკლესი. 20-22 მაისს სტუმრად ყოფილ ეროვნულ ბანკში რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ანდრეი ლასლო, რომელიც ბანკთა საერთაშორისო ასოციაციის სახელმწიფო ბანკის მოწვევით.

ანდრეი ლასლო გაეცნო რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას, ესტუმრა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველს ვ. ჯინჯიხაძეს. ა. ლასლომ და მისმა მეუღლემ დაათვალიერეს თბილისის, მცხეთისა და გორის ღირსშესანიშნაობანი.

22 მაისს ანდრეი ლასლო უნგრეთის ეროვნული ბანკის ვიცე-დირექტორის ანტონ ბისეიდეშის თანხლებით ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს შ. კიკნაძეს. გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ვ. ჯინჯიხაძემ და სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის წევრმა, საგალუტო-ეკონომიური საქმეთა უფროსმა ვ. მორსინმა.

ამავე დღეს უნგრეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირნი მოსკოვს ეაუფრენენ.

(საქინფორმი).

თავისებური „რეკორდი“

პარიზი. 22 მაისი. (საკლესი). საფრანგეთის სოციალურ ცხოვრებაში აღინიშნა თავისებური „რეკორდი“.

ლუი პოლენი, რომელსაც დღეს 94 წელი შეუსრულდა, 71 წელია დუს დეპარტამენტის ქალაქ სენტ-პუენის მერიის უცვალელი მუნიციპალური მრჩეველია.

მუნიციპალურ საბჭოში იგი პირველად 1901 წელს აირჩიეს. 1919 წელს ლ. პოლენი გახდა მერის მოადგილე, და მას შემდეგ უცვალელად ირჩევდნენ ამ პოსტზე.

„ცხელი ტალღა“

უჩვეულო, ინდოეთისათვისაც კი, ცხელი მაისის დღეები დგას ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში, სადაც სამას მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. უზარმაზარ ფართობზე, დათვლილი ბინა-ლაებიდან ბომბეიმდე, პენჯაბიდან დასავლეთ ბენგალიამდე ხანდაყან სეეტი უკანასკნელ დღეებში უჩვენებს ცელსიუსით 43-50 გრადუსამდე ხიცხეს.

ცაში ერთი ღრუბელიც არ არის. ინდოეთის გაზეთები პირველ გვერდებზე ბეჭდავენ უყოველდღიურ ცნობებს ამინდის შესახებ, აქვეყნებენ „ცხელი ტალღის“ (ახე უწოდებენ მაისის ხიცხის შემოტევას) მსხვერპლთა რაოდენობას.

დანბადში, ხიცხის გამო შეწუვეტილა ყველა სამუშაო ქვანახშირის ღია კარიერებში. „ცხელმა ტალღამ“ ამოაშრო ბენი და მეტი წილი წყალსაცავები. დიდი ზარალი განიცადეს ბრინჯის ნათესებმა. წყლის დონის მკვეთრი დაცემის გამო ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც დელიისა და ცენტრალური რაიონების სხვა მსხვილ ქალაქებს ამარაგებენ ელექტროენერგიით, დიდი შეფერხებით მუშაობენ.

მხოლოდ უკანასკნელ დღეებში 150 კაცზე მეტი დაიღუპა მზის დაკვრისაგან.

მინისძვრა ფილიპინებზე

მანილა. 22 მაისი. (საკლესი). ძლიერმა მიწისძვრამ ბიძგებმა შეაზანზარეს დღეს დილით ფილიპინის არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძული — ლუსონი.

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ბიძგებმა მიაღწიეს 6 बალს. მიწისძვრის ეპიცენტრი 270 კილომეტრზე მდებარეობს მანილის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

კოკისპირული წვიმები

თეირანი. 22 მაისი. (საკლესი). ირანის ჩრდილოეთ რაიონებში მესამე დღეა კოკისპირულად წვიმს. წვიმებმა გამოიწვიეს წყალდიდობა, რომელმაც ქალიან დაანგრია სახლები, დაანიანა ბალები და ყანები ქალაქების რეზაიეს, კოისა და აპარის გარეშეო, არის ადამიანთა მსხვერპლი.

აპარში, სადაც უკვე 20 დღეა წვიმს, დაინგრა ბეჭრი სახლი. შეწყდა სატრანსპორტო მიმოსვლა სხვა დასახლებულ პუნქტებს შორის.

ჩაქუჩით შეიარაღებული ტურისტი

რომი. 22 მაისი. (საკლესი). ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარში სერიოზულად დაზიანდა მეექვსეწელოს ნსოფლიოშ ცობილი ქანდაკება „პიეტა“.

ტაძარში მოსულმა ერთ-ერთმა უცხოელმა ტურისტმა რამდენჯერმე დაარტყა ჩაქუჩი ქანდაკებას.

ამჯერი

● **ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა** ინდირა განდიმ მოუწოდა ინდოეთის ახალგაზრდობას ყოველი ღონე იხმაროს, რათა ბოლო მოუღოს სიღატაკეს და გადაჭრას უმუშევრობის პრობლემა ქვეყანაში. გამოვიდა რა ნეიანარე ჰუგლის ხიდის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალზე, ხიდისა, რომელიც უდიდესი იქნება აზიაში, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა: ახალი ხიდის აგება საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ტრანსპორტის პრობლემა დასავლეთ ბენგალიის შტატის ამ რაიონში და სამუშაო მივცეთ ათასობით უმუშევარსო.

● **იაპონიაში ჩავიდა** პოლონეთის სეიმის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მარშალი ს. გუცვა. დელეგაცია მიიწვიეს იაპონიის პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების თავმჯდომარეებმა.

● **ხიროსიმის რაიონიზელებმა** მოიწყვეს 48 საათის გაფიცება ხელფასის ნომატების მოთხოვნების მხარდასაჭერად. ეს მეხუთეჯერ გაფიცენენ ხიროსიმელი რაინგზელები იაპონელ მშრომელთა წლეიანდელ საგაზაფხულო ბრძოლის დროს.

● **ბასკეთის ქვეყანაში** გრძელდება საპროტესტო დემონსტრაციები სიძვირის სწრაფი ზრდის წინააღმდეგ. ბილბაოს გარეუბნებში — სესტაოსა და პორტუგალეტში გამართულ დემონსტრაციებში მონაწილეობდა ათასამდე ქალი. დემონსტრაციის გასარკვევ გაგზავნეს პოლიცია.

● **ინგლისის პრემიერ-მინისტრმა** ე. ჰიტმა იმოგზაურა ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავით „კონკორდით“, რომელსაც ერთად ქმნიან ინგლისი და საფრანგეთი. მან განაცხადა, რომ „კონკორდის“ მომავალი დამოკიდებულია შეკვეთებზე.

● **არ გაყიდულა ბაზეთი „პარი-ნორმანდი“,** რომელიც რუანაში გამოდის. გაზეთის რედაქტორ-ჟურნალისტთა შემადგენლობა გაიფიცა. ისინი პროტესტს აცხადებენ ერთ-ერთი საფინანსო ჯგუფისათვის გაზეთის მიყიდვის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნის „პარი-ნორმანდის“ დამოუკიდებლობას.

ფაქტები

კანადა საგარეო დელეგაციის ვიზიტი

22 მაისი. (საკლესი). იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ხ. რუბეიამ მიიღო საბჭოთა კავშირის აზია-ჟფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია, რომელიც ვიზიტად არის აქ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ო. ე. ჩერქეზიას მეთაურობით.

საბჭოთა დელეგაცია შეხვდა აგრეთვე იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს ა. ნ. მუჰამედს და საგარეო საქმეთა მინისტრს მ. ხ. აულაკის.

ამ ერთ კვირაში

საკლესის მიმოხილვა

□ დიდი მნიშვნელობის მოვლენა □ ვაჭრობის განვითარება და ნორმალიზაცია □ სისხლი კვლავ იღვრება

ლასავლეთ გერმანიის პარლამენტმა მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მისმა ორივე პალატამ — ბუნდესტაგმა და ბუნდესრატმა მოიწონეს საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებანი, რომელებსაც ჯერ კიდევ 1970 წელს მოაწერეს ხელი. მას შემდეგ, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ამ ხელშეკრულებებს ხელს მოაწერს და დამთავრდება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მიერ მათი რატიფიკაციის პროცესი, იგი ძალაში შევა.

მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებათა მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ეს ხელშეკრულებანი იურიდიულად განამტკიცებენ მეორე მსოფლიო ომის შედეგად წარმოქმნილი, კერძოდ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დასავლეთ-საზღვრებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრების ურღვევობას, ადასტურებენ გერმანიის ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების შედეგებს. ამასთან ეს ხელშეკრულებანი მოამწყვანებენ ევროპის ომის შემდგომ ისტორიაში მნიშვნელოვანი შემობრუნების — „ცივი ომის“ დროის კონფრონტაციიდან დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ შემობრუნების დაწყებას.

სწორედ ასე აფასებს ხელშეკრულებებს ევროპისა და მსოფლიო საზოგადოებრიობა. ასეთი შეფასება მისცეს მათ საფრანგეთის, ბელგიის, ავსტრიის, შვეიცის, დანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების მთავრობებმა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ბრანდტმა განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანიის პარლამენტის მიერ მოწონებულმა ხელშეკრულებებმა დასახეს „ახალი ეტაპი ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში“ და ამასთან მოასწავებენ „ახალი ეტაპის დადგომას აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშვიდობიან თანაარსებობაში“.

სსრ კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმებანი, აგრეთვე გაიმართოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე. ამის გზა ახლა უკვე გახსნილია.

ბილში დმდაქალაქ სანტიაგოში ერთ თვეზე მეტ ხანს მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მესამე სესია. 141 ქვეყნისა და 90 საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციის სამი ათასამდელეგატმა განიხილა მრავალი საკითხი, რომელიც ეხება მსოფლიო ვაჭრობის ნორმალიზაციასა და გაფართოებას, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევას მათი საარსებო სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში.

ძირითადი დისკუსია სესიაზე დაიწყო იმ სამართლიან მოთხოვნათა გარშემო, რომლებიც „მესამე სამყაროს“ ქვეყნებმა წაუყენეს განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ამ მოთხოვნათა არსი ის არის, რომ დასავლეთის ქვეყნებმა შეწყვიტონ დისკრიმინაციული პრაქტიკა საგაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის დარგში და ურთიერთობას საფუძვლად დაუდონ თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპები. ინდოეთის, ტუნისის, ჩილეისა და ბევრი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა მკაცრად გააკრიტიკეს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია, აღნიშნეს, რომ მათ მიერ შემოღებული პროტექციონისტული ღონისძიებანი და შექმნილი ხელოვნური ბარიერები ვაჭრობაში აბრკოლებენ განვითარებადი სახელმწიფოების ექსპორტს, დიდ ეკონომიურ ზარალს აყენებენ მათ.

მაგრამ ზამყანი კაპიტალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სცადეს გვერდი აეცვლო კანონიერი პრეტენზიებისათვის, რომლებიც მათ მიმართ გამოთქვეა, და ცდილობდნენ სხვადასხვა ყალბი საბაბით სიცილის დელეგატებისათვის თავს მოეხვიათ გადაწყვეტილებანი, რომლებიც მხოლოდ იმპერიალისტურ მონოპოლიათა ანგარებითს ინტერესებს შეესაბამება. მაგრამ ამ მანევრებს საკადრისი პასუხი გასცა სესიის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ.

დასავლეთის სახელმწიფოთაგან განსხვავებით, სსრ კავშირმა და სოციალისტურ თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი კონსტრუქციული და რეალისტური პოზიცია, რომელიც შეესაბამება როგორც მსოფლიო ვაჭრობის ინტერესებს, ისე მთლიანად საერთაშორისო ვითარებას. ამ სესიის დასურვის წინ საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ხაზგასმულია: „სსრ კავშირი ყოველ ღონეს იხმარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის სესიის იმ რეკომენდაციათა შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ მსოფლიო ვაჭრობის ნორმალიზაციასა და გაფართოებას“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ სესიამ ცხადყო, რომ „მესამე სამყაროს“ ქვეყნები ესწრაფვიან განამტკიცონ ერთიანობა კაპიტალისტური დასავლეთის ნეოკოლონიზატორებისა და ოლტერნატივა ტერორისტთა ხელყოფისაგან, ოლტერში არ დაამყარებენ ნესურიეს, მაშინ ჩვენ თვითონვე ვიმოქმედებთ, — განაცხადა „ავანგარდის“ წინამძღოლმა, ჩრდილოეთ ირლანდიის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა უ. კრეიგმა. — ჩვენ მზად ვართ გადავბიჯოთ იმ მიჯნას, რომელიც სამოქალაქო ომს გვაშორებს“.

ოლსტერში ძალმომრეობის ახალი გაფართოება მოწმობს ამ პროვინციაში ეონოდონის კოლონიზატორული კურსის სრულ ჩაფუშვას. თვენახევრის წინათ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ე. ჰიტმა განაცხადა, რომ დათხოვნილია სტორმონტი (ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტი) და ოლსტერში შემოღებულია ლონდონის „პირდაპირი მართვა-გამეობა“.

ინგლისის მთავრობამ ამ ღონისძიების იმ იმედით მიმართა, რომ იქნებ ცოტაოდენი „ორთქლი გამოეშვა“ ათუთუხუნული ქვაბიდან, თვით ჰიტმა და მის მიერ დანიშნულმა ახალგამომცხვარმა ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უაიტლოუმ გამოაცხადეს — უკვე მერამდენჯერ — კონსერვატორთა მთავრობას მტკიცედ აკვეს გადაწყვეტილი ხელი შეუწყოსო ოლსტერის პრობლემების სამართლიან მოწესრიგებას. მაგრამ ყველა ეს დაპირება ქაღალდზე დარჩა. ჩრდილოეთ ირლანდიის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში კვლავინდებურად „ტანჯება 700-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც იქ დაამწყვდიეს მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

ინგლისელ ჯარისკაცთა და ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის თვალწინ პროტესტანტ ექსტრემისტთა ბანდები იჭრებიან კათოლიკურ ეკლესიებში და აწიოკებენ იქაურობას, იყენებენ ცეცხლსასროლ იარაღს. ამასთან არც ერთი ულტრა არ არის დაპატიმრებული, არც ერთი მათგანი არ განუიარაღებიათ. ამრიგად, ლონდონს „პირდაპირმა მართვა-გამეობამ“, — რომელიც უკვე თვენახევარზე მეტია გრძელდება, ცხადყო, რომ ბრიტანული კოლონიზატორები ხელს არ იღებენ „გათიშე და იბატონეს“ ყბადაღებულ პოლიტიკაზე და ხელს უწყობენ კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის შუღლის გაჩაღებას ჩრდილოეთ ირლანდიაში თავიანთი ბატონობის განმტკიცების მიზნით.

ეკონომიკა...

შვეიცარიის ჟურნალ „წყალი და ენერგიის“ ფურცლებზე

ამ დღეებში შვეიცარიიდან მივიღეთ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და ავტორიტეტული ჟურნალის „წყალი და ენერგია“-ს მესამე ნომერი. ეს ჟურნალი იმით არის პოპულარული, რომ მსოფლიოს ტექნიკურ მეცნიერებას აცნობს სხვადასხვა ქვეყნების მიღწევებს წყალთა მეურნეობის, ენერგეტიკის დარგში, ფართოდ ამუქებს სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებს.

ამ ჟურნალში გერმანულ ენაზე გამოქვეყნებულია საქართველოს ე. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის ლეონ გველესიანის ვრცელი სტატია „საქართველოს ჰიდროენერგეტიკა და ენერგიის უმაღლესი თაღოვან კაშხალი ჰიდროელექტრსადგური“. ამ სტატიით საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება საკმაოდ დეტალურად პირველად გაეცნო საქართველოს ჰიდროენერგეტიკის მიღწევებს, პერსპექტივებს, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უნიკალური თაღოვანი კაშხალის მშენებლობას.

საქართველოს მდიდარი ენერგორესურსების არსებობა საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ ამის დაწვრილებით დახასიათებასთან ერთად სტატიაში ხაზგასმულია ამ რესურსების განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები — სიმძლავრეთა სიდიდეებს, ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლებლობანი 1 კვადრატულ კილომეტრ ფართობსა თუ მდინარის 1 კილომეტრ სიგრძეზე.

მაგალითად, მდინარეების ბზიფის, კოდორის, ენგურის აუზში აღნიშნული სიდიდეები ნამდვილად გრანდიოზულია. პირველი სიდიდე ყოველ 1 კვადრატულ კილომეტრზე წელიწადში 5-6,5 მილიონ კილოვატ-საათს უდრის, ხოლო მეორე 10.000-14.000 კილოვატს მდინარის 1 კილომეტრ სიგრძეზე, რაც ერთ-ერთი რეკორდული ციფრებია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიოსთვისაც.

ამ მხრივ მდინარე ენგურის აუზი ძალიან საინტერესოა. ეს მდინარე, შეიძლება ითქვას, საქართველოში ყველაზე მძლავრია, ყოველწლიურად თავის დინებით აკლიებს 20 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტი ენერგიის პოტენციალს. ამიტომაც არის, რომ ამ ენერგიის ეფექტურ ათვისებას, ეროვნული ეკონომიკისა და ადამიანთა ცხოვრების ასაკაღლებლად ენგურზე, ენგურის ხეობაში, ენგურის ტბაზე, ენგურის ტბის ზემოთ, ენგურის ტბის ქვემოთ, ენგურის ტბის ტერიტორიაზე, ენგურის ტბის ირგვლივ, ენგურის ტბის ფერდობებზე, ენგურის ტბის ფერდობებზე, ენგურის ტბის ფერდობებზე

სტუმრად ქარხანაში

რიმინტროპის სახელობის ქარხნის კლუბში სამუშაოს დამთავრების შემდეგ თავი მოიყარეს მუშებმა. ტექნიკურმა ინტელიგენციამ და მოსამსახურე პერსონალმა. აქ თავისი შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სიმფონიური ორკესტრი. მეხუთდრა შოიძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან თარიღს.

ამ ხნის განმავლობაში. მუსიკალურმა ჯადაღიმმმა ეთერში დიდი როლი შეასრულა მშრომელთა ესთეტიკური აღზრდისა და მუსიკალური კულტურის დონრგვის საქმეში. რადიომ შემოინახა და ფირზე აღბეჭდა მდიდარი მომკვიდრეობის ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორი. მანვე საფუძველი ჩაუყარა პროფესიული მუსიკის პოპულარიზაციას ფართო მასებში.

ორკესტრს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი სიბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა პროპაგანდაში, მომმე რესპუბლიკების მუსიკალური ცხოვრების გაცნობის საქმეში.

კონცერტის დაწყების წინ, დამსწრეთ მიესალმა მუსიკალურ გადაცემათა სამხატვრო ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ა. ბუკია.

საპასუხო სიტყვით ქარხნის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა იაკობ ხვედელიანმა მადლობა გადაუხადა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ასეთი ღონისძიებისათვის და აღნიშნა, რომ ქარხნის მუშამოსამსახურენი, რომელნიც მუდამ წარმატებით ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს მთელი ოცდაათი წლის მანძილზე, ეკლავაც იქნებიან მოწინავეთა რიგებში.

კონცერტი, რომელიც ჩაიწერა და ტრანსლირებული იქნა ტელევიზიით, დაიწყო მ. გლინკას ოპერის „რუსლან და ლიუდმილას“ უვერტიურით. ორკესტრმა ეს რუსული მუსიკალური კულტურის თვალსაჩინო ნაწარმოები შეასრულა ორკესტრის მთავარი დირიჟორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. კილაძის ხელმძღვანელობით.

შემდეგ მსმენელთა წინაშე წარსდგა დირიჟორი ს. კორკოტაშვილი. შესრულებულ იქნა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ სუიტა.

კონცერტში აგრეთვე არიები ზ. ფალიაშვილის ოპერებიდან „აბესალომ და ეთერიდან“ და „დაისიდან“, გრ. კილაძის, ა. მაჭავარიანის და რ. ლაღიძის სიმფონიური ნაწარმოებები, არიები დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა ოპერებიდან. წარმატება ხვდათ ოპერის სოლისტებს: რესპუბლიკის სახალხო არტისტს ი. შუშანიას, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ნ. ჭაჭიას და რ. კაკაბაძეს, ახალგაზრდა მომღერლებს ლ. ტატიშვილს და კ. ფირცხალავას

ასეთი ღონისძიება — შემოქმედებითი კოლექტივის სტუმრობა საწარმოში მისასალმებელია. მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

შ. თაბუკაშვილი.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მუსიკალურ გადაცემათა სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილე.

მასპინძლობენ მეტალურგები

რუსთავი. (საკ. კორ.). ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ჭალაქს ეწვია ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, რომელსაც პროფესორი ი. დუზი ხელმძღვანელობდა. სტუმრებმა დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური ობიექტები, საცხოვრებელი კვარტალები, კულტურის კერები.

სალამოს სტუმრები და მასპინძლები მეტალურგთა კულტურის სასახლეში შეიკრიბნენ და მეგობრობის კონცერტი გამართეს.

საახალხო უნივერსიტეტის გამოშვება

ქოზულეთი. (საკ. კორ.). ხუცუბნის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ორწლიან სახალხო უნივერსიტეტს გამოშვება ჰქონდა. 104 კოლმეურნეს გადაეცა სახალხო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი.

დიდი სახლის პატარა ბინადარნი. ს. კილაძის ფოტო.

ავარია ეუნდა, ვინ არის დამნაშავე?

ავტოხელიგნები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). თ. მერკვილაძე მიდიოდა ავტომობილით და საპეტსთან ერთ ადგილზე დაეჯახა. მას სამართლიანად ჩამოერთვა მანქანის მართვის უფლება. მაგრამ ეს არაფერად ჩაუდო თ. მერკვილიშვილმა და ავტომანქანა მაინც ამოიყვანა სასეირნოდ. შედეგი? ავტოხელიგნმა მანქანა ავალიაში ხარ-ურემს დაეჯახა და მიიმალა. მის კვალს მიაგნეს. იგი დასჯიან.

იმისათვის, რომ ტრანსპორტს მთარალი მართავდა კ. ნიკაბაძის მანქანის მართვის უფლება ჩამოართვეს. მაგრამ ამით ჯერ ისწავლა. ისევ მთარალი მიუჯდა საჭეს და უიმედოდ ავარიას მოახდინდა, რომ მილიციის თანამშრომლებს არ დაეკავებინათ.

რ. ჯიბაურმა მოტოციკლი შეიძინა. მას მაშინვე ჩამოართვეს ხელფრილი — მანქანას არ ამოიყიანდა, სანამ მართვის უფლებას არ მიიღებდა. რ. ჯიბაურმა გამორთხილება დაიიწყა, მოტოციკლი მაინც-გაჯირითა, მაგრამ წაასწრეს.

ტრანსპორტის მართვის უფლებაჩამორთმეულმა ზ. ჯამრეკოიშვილმა მოტოციკლზე დასვა მართვის უფლების ორმეონი პირი. კარგად მოიქცნენ, რომ ზ. ჯამრეკოიშვილს მოტოციკლი ჩამოართვეს. — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულების საფუძველზე, — ბანაგებდა ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა სახელმწიფო ავტოინსპექტორმა ჯ. კაპანაძემ, — ზემოთ ჩამოთვლილი მფლობელთან ავტომოტორტრანსპორტი სარეალიზაციოდ გადაეცემა.

შემოხვევა

□

ცეცხლზე ძლიერნი

ოჯალონიკიძე. (საკ. კორ.). ეს ამბავი ანლახან მოხდა. სოფლებან ხორით-სარგვეშის საზღვარზე ტყეს ცეცხლი გასჩენოდა. ხანძარი ძლიერდებოდა. სტიქია შენიშნა სარგვეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კვირიკაშვილმა. სოფლის თავკაცმა დარაზმა ადამიანები, რომლებიც იკვეთნენ ხანძარს და ანლადამწვარ ნებუფონი ტყე დაწვას გადაარჩინეს.

ხანძრის ჩაქრობაში თავი გამოიჩინეს ი. და ო. ნავაძეებმა, თ. ორჯონიკიძემ, რ. ბარბაქაძემ, ჯ. ახრახაძემ, კ. პაქსაშვილმა, დ. მაღლაფერიძემ.

ემინდი

დღეს. 23 მაისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ქარი, ტემპერატურა ბარში 25-30, მთაში — 20-25 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — 21-26, მთაში 14-19 გრადუსი სითბო.

თბილისში იქნება ხანმოკლე წვიმა ელჭექით, სუსტი ქარი, ტემპერატურა 24-26 გრადუსი სითბო.

შეამონმეთ

შაბათს, 20 მაისს დნეპროპეტროვსკში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-14 ტირაჟი.

მოგება ხვდათ შემდეგ ნომრებს:

5 (ბადმინტონი), 6 (კალათბურთი), 7 (ბიატლონი), 8 (კრივი), 13 (საწყლო-სათხილამურო სპორტი), 48 (ფარდაკი).

სპორტი

— გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩი —

მანევრულ ბრძოლაში

რიგა. (ტელეფონით). უაღრესად მძაფრი ოთხი პარტიის შემდეგ მეტოქეებმა რამდენადმე შეცვალეს ბრძოლის მანერა. მეხუთე პარტია შედარებით წყნარი მანევრული თამაშით ხასიათდებოდა. ამასთანავე ორივე მეტოქემ კვლავ მაღალი ხელოვნება გამოავლინა. მეცხრე სვლამდე განმეორდა სიცილიური დაცვის ის ვარიანტი, რომელიც პირველ და მესამე პარტიაში შეგვეხვდა. როგორც ცნობილია, მესამე პარტიაში კუშნირმა შავებით კარგი თამაში მიიღო. ეს გარემოება ნ. გაფრინდაშვილმა კარგად გაითვალისწინა და მეცხრე სვლაზე გადაუხვია ადრინდელ გაგრძელებას. შავებს სრულიად განსხვავებულ პოზიციაში გარკვევა მოუხდათ. პრეტენდენტმა გადაწყვიტა პაიკის დათმობა, რათა ფიგურების გაცვლის შემდეგ დაებრუნებინა იგი, მაგრამ ეს იღონი ამოცანა როდი აღმოჩნდა.

ლაზიერების გაცვლის შემდეგ წარმოიქმნა ოთხი ეტლის ენდშპილი. გაფრინდაშვილისათვის ზედმეტი პაიკით. ამ მომენტისათვის პრეს-ცენტრში აზრები გაიყო. საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. კობლენცმა თქვა: „ძნელი სათქმელია, გაფრინდაშვილს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მოგებისა, თუ კუშნირს ყაიმისა“.

გაფრინდაშვილი განაგრძობდა მოგებაზე თამაშს, მაგრამ პრეტენდენტი ზუსტად იცავდა თავს. მან დაიბრუნა პაიკი და ამასთანავე თითო ეტლი გაცვალა. ცნობილ გროსმაისტრსა და ყურანლისტს ს. ტარტაკოვერს უყვარდა გამოთქმა: „ეტლების უყველა ენდშპილი ყაიმით მთავრდებაო“. ეს ისეთი ხუმრობაა, რომელშიც სიმართლეც ურევია.

ნ. გაფრინდაშვილის 41-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო. პრეტენდენტმა ჩაიწერა თავისი მორიგი სვლა. დაფაზე მატერიალურად თანაბარი მდგომარეობაა. მეტოქეებს მეფე, ეტლი და ოთხ-ოთხი პაიკი დარჩათ. მიმომხილველების აზრით მოსალოდნელია საყაიმო შედეგი. პარტია 23 მაისს უნდა დამთავრდეს.

V ვარტია

ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∅f3 e6 3. d4 cd 4. ∅:d4 ∅c6 5. ∅c3 d6 6. ♗e2 ∅f6 7. ♗e3 ♗d7 8. f4 ♗e7 9. ∅b3 a6 10. a4 ∅a5 11. e5 de 12. fe ∅d5 13. ∅:d5 ed 14. ∅:a5 ♖:a5+ 15. c3 0—0 16. ♗d4 ♗f5 17. 0—0 ♗e4 18. ♗f3 ♗:f3 19. ♖:f3 ♗c5 20. ♖:d5 ♗:d4+ 21. ♖:d4 ♗ad8 22. ♖f4 ♖b6+ 23. ♗f2 h6 24. ♗e1 ♖e8 25. ♖f5 ♗fe8 26. ♖:e6 ♗:e6 27. ♗fe2 ∅f8 28. ∅f2 ∅e7 29. ♗e4 ♗d5 30. ♗1e2 a5 31. ♗c4 ♗b6 32. ♗g4 g6 33. ♗f4 ♗e6 34. ♗c4 b5 35. ab ♗:b5 36. ♗c7+∅e8 37. c4 ♗b:e5 38. ♗:e5 ♗:e5 39. ♗b7 ♗c5 40. b3 a4 41. ∅e3

შავებმა ჩაიწერეს სვლა.

გადადებული პოზიცია: თეთრები — ∅e3, ♗b7, ♗-ბი: b3, c4, g2, h2 (6) შავები — ∅e8, ♗c5, ♗-ბი: a4, f7, g6, h6 (6).

გ. გამრეკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



შამათი! — ასე დასრულდა მე-2 პარტია. მ. ზარგარიანის ფოტო.

პირველი კოსმონავტის ხსოვნისა

ლენინაკანი, 23 მაისი. (საკ. კორ.). საქართველოს ავტომობილისტები დაეუფლნენ პირველი კოსმონავტის იური გაგარინის ხსოვნის პრიზს საგზაოკეცილო-წრიულ რბოლაში „ნეგის რკალის“ ტრასაზე. პირად ჩათვლაში „ვოლგებითა“ და „მოსკვიჩებით“ პირველ ადგილზე გამოვიდნენ თბილისელები მიხეილ ლოგინოვი და ტრისტან ქადეიშვილი, სარბოლი მანქანების გარეშეებში კი ლენინგრადელი ვლადიმერ პერენიკი და მოსკოველი იური ტერენეკი. ფიზკულტურის კოლექტივებს შორის მესამე წელია ზედიზედ წარმატებას აღწევენ მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის მრბოლები.

მასპინძლობენ მეტალურგები

რუსთავი. (საკ. კორ.). ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა ჭალაქს ეწვია ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის დელეგაცია, რომელსაც პროფესორი ი. დუზი ხელმძღვანელობდა. სტუმრებმა დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური ობიექტები, საცხოვრებელი კვარტალები, კულტურის კერები.

სალამოს სტუმრები და მასპინძლები მეტალურგთა კულტურის სასახლეში შეიკრიბნენ და მეგობრობის კონცერტი გამართეს.

საახალხო უნივერსიტეტის გამოშვება

ქოზულეთი. (საკ. კორ.). ხუცუბნის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ორწლიან სახალხო უნივერსიტეტს გამოშვება ჰქონდა. 104 კოლმეურნეს გადაეცა სახალხო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი.

მძლეოსნობა

რევანში არ შედგა

ოთხთა ტურნირი

კარბასანია ტრადიციად დამკვიდრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა შეხვედრები, რომელიც ყოველწლიურად მოსაპარეზე რესპუბლიკების დედაქალაქების სტადიონებზე ეწყობა. წელს ეს ტურნირი თბილისში გაიმართა „ლოკომოტივის“ სტადიონზე 20-21 მაისს.

საქართველოს მძლეოსნები ამ ტურნირებში მუდამ. კარგად გამოდიოდნენ და ბევრჯერ გამარჯვებაც დაუსაკუთრებიათ, მაგრამ შარშან უპირატესობამ მოლდაველთა მხარეს გადაინაცვლა. ახლაც ასე მოხდა. საქართველოს ნაკრებმა, რომელშიც ბევრი ახალგაზრდა იყო, შარშანდელი მარცხისათვის რევანშის აღება ვერ შეძლო და მოლდაველთის გუნდის შემდეგ მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე ადგილზე გამოვიდნენ აზერბაიჯანის, ხოლო მეოთხეზე სომხეთის მძლეოსნები.

პირად ტურნირში მონაწილეებმა რამდენიმე მაღალი შედეგი უჩვენეს, გაუჯობესეს რესპუბლიკური რეკორდები. მასპინძელთა გუნდის წევრმა ვ. ნესტერენკომ 10.000 მეტრზე რბენაში 1,8 წამით გაუუჯობესა საქართველოს ძველი რეკორდი, გამარჯვებულის დროა 30.13,2. მ. თათევოსიანმა ჭოკით ხტომაში 480 სმ. აჩვენა. ესეც ჩვენი რეპუბლიკის ახალი რეკორდია. ვაჟთა შორის 4X400 მეტრზე ესტაფეტაში აზერბაიჯანის რეკორდი დამყარდა — 3.16,0.

ტურნირში სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები —ბრძოლის ტყორცნაში მსოფლიოს რეკორდსმენი ფ. მელნიკი (ერევანი), სამხტომში ევროპის რეკორდსმენი ვ. სანეევი და მისი თანაგუნდელი სპორტული მოსიარულე ი. დელა-როსაგ გამოდიოდნენ. მელნიკმა მაღალი შედეგით გაიმარჯვა. მის მიერ ნატყორცნი ბაღრო — 62.24 მეტრზე დაეცა. სანეევი მსოფლიო რეკორდის დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ გამოსარბენი ბილიკის უკმარისობის გამო, მას შემდეგ, რაც პირველი ადგილი დაიკავა და გუნდს ჩაუვლა მისცა (15,50 მ), მან ბრძოლა შეწყვიტა.

გ. ოთარაშვილი.

ფეხბურთი *ჩოგბურთი*

ტური დასრულდა

კვირას მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ შეხვედრით დასრულდა „ა“ ლიგის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტური. ალმაატელებმა სტუმრად აღმავლობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს 2:0. შაბათს მინსკის „დინამოს“ მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 23 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	8	6	1	1	13-3	13
„ზარია“	8	6	1	1	13-5	13
ცსკა	8	5	1	2	12-8	11
„დინამო“ (კ.)	8	4	2	2	12-10	10
„ზენიტი“	7	3	3	1	12-8	9
„დნეპრი“	8	2	5	1	10-9	9
„კაირატი“	8	1	5	2	6-7	7
„ლოკომოტივი“	8	2	3	3	4-7	7
„დინამო“ (მ.)	6	2	2	2	7-6	6
„სპარტაკი“	7	2	2	3	7-8	6
„კარპატი“	8	2	2	4	7-9	6
„დინამო“ (მნ.)	8	1	4	3	4-8	6
„ტორპედო“	8	1	4	3	4-12	6
„არარატი“	7	1	3	3	9-7	5
„ნეფტჩი“	7	2	1	4	4-7	5
ცსკა	8	1	1	6	4-14	3

პირველ ხგუფი

რიგორც უკვე ვიუწყებოდით, პირველი ჯგუფის გათამაშების ლიდერმა ქუთაისის „ტორპედომ“ გასვლითი თამაში წაგო ყარაგანდის „მახტაორთან“, მაგრამ იგი რვა თამაშიდან 12 ქულით კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში დგას. ამდენივე ქულა, ოღონდ 9 თამაშიდან აქვს ტაშკენტის „პახტაკორს“. 9-9 თამაშიდან 11-11 ქულით მესამე-მეოთხე ადგილს იყოფენ დონეცკის „შახტიორი“ და დუშანბეს „პამირი“.

ისევ წაგეს

კიშინევსა, 21 მაისი. (საკ. კორ.). მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებს კიდევ ერთი შეხვედრა ჰქონდათ ზაირის რესპუბლიკაში და ისევ წაეგეს, ამჯერად ანგარიშით 1:2 (1:1) ქვეყნის ნაკრებთან.

ახლა კი ნახევარფინალი

ბასაბალანა, 22 მაისი. (საკადეს). საბჭოთა ჩოგბურთელები გავიდნენ დავისის თასის ახლანდელი გათამაშების ევროპის „ა“ ზონის ნახევარფინალში. მათ დაამარცხეს მაროკოს გუნდი ანგარიშით 5:0. შაბათს ალექსანდრე მეტრეველმა და სერგი ლიხაჩოვმა დაამარცხეს ომარ ლიმინა და ჰაბაბი ბუშაიბი — 6:2, 6:2, 7:5. კვირას ვლადიმერ კოროტკოვმა დაამარცხა ლიმინა — 3:6, 6:1, 6:2, 6:4, მეტრეველმა კი აბდალაჰ ზამაზაი — 6:4, 7:5, 6:0.

ნახევარფინალში საბჭოთა გუნდი უნდა შეხვდეს დანია-პოლონეთის მატჩის გამარჯვებულს.

ძალეოსნობა

ყველანი მედლებით

კონსტანცა, 22 მაისი. (საკ. კორ.). უკანასკნელი ოქროს „დანამატი“ საბჭოთა შტანგისტების გუნდის ყოლაბაში, რომლებიც გამოდიოდნენ რუმინეთის ამ ქალაქში გამართულ ევროპის ჩემპიონატში, შეიტანეს ქალაქ შახტის ინჟინერმა ვასილ ალექსეევმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მეორე მძიმე წონის უძლიერეს ათლეტთა შეჯიბრებაში. არასოდეს ასეთ მწვავე ბრძოლაში არ მოუპოვებია მას წარმატება. ალექსეევმა სამჭიდში დააგროვა 632,5 კილოგრამი (225 + 175 + 232,5). ახალგაზრდა შტანგისტი გფრ-დან რუდოლფ მანგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს მხოლოდ 2,5 კილოგრამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გამოვიდა გერტ ბონკი (გდრ) — 565 კილოგრამი.

ჩვენმა გუნდმა, რომელმაც თავისი გამარჯვება უზრუნველყო შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე, მოაგროვა 56 ქულა. საბჭოთა ათლეტების ანგარიშზეა ექვსი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი, რომ აღარაფერი ვთქვათ მცირე ჯილდოებზე ცალკეულ ვარჯიშებში. ტურნირში, სადაც გამოდიოდა 27 ქვეყნის 150-ზე მეტი შტანგისტი, დამყარდა შვიდი მსოფლიო რეკორდი, ამასთან ხუთ შემთხვევაში ამას ჩვენმა შტანგისტებმა მიაღწიეს.

რამდენიმე სტრიქონით

● **მხატვრული ტანვარჯიში.** ომსკელმა 19 წლის სტუდენტმა გალია შუგუროვამ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ტალინში გამართულ საკავშირო პირველობაზე. იგი საუკეთესო იყო აგრეთვე სავნით და უსაგნოდ ვარჯიშებში. პრიზიორთა სამეულში შევიდნენ აგრეთვე ალფია ნაზმუტდინოვა (სვერდლოვსკი) და ალა ზასუხინა (ასტრახანი).

● **ფრენგურთი.** სსრ კავშირის ნაკრებმა რეკანში აიღო პირველ მატჩში დამარცხებისათვის იაპონიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში. ამჯერად ქალაქ ნაგოიაში საბჭოთა ფრენგურთელებმა მასპინძლებს სძლიეს ანგარიშით 3:1.

● **წყალბურთი.** ცნობილია მიუნხენის ოლიმპიადის მონაწილე წყალბურთელთა 15 ფინალისტი გუნდი. ესენი არიან წინა ოლიმპიადის საუკეთესო ექვსეული — იუგოსლავია, სსრ კავშირი, უნგრეთი, იტალია, აშშ, ჰოლანდია, რომლებსაც დაემატნენ რვა ევროპელი კოლექტივს შორის განარჯვებულნი — რუმინეთის, ესპანეთისა და ბულგარეთის წყალბურთელები; გფრ-ის სპორტსმენები (ოლიმპიადის მასპინძლები), აზიის ჯგუფის გამარჯვებული — იაპონიის, ამერიკის კონტინენტის სამი საუკეთესო ნაკრები — კუბა, ბრაზილია, მექსიკა, აგრეთვე ავსტრალიის გუნდები. მათ შეუერთდება მეთექვსმეტე — აფრიკის ქვეყნების ტურნირის ჩემპიონი.

● **ძალეოსნობა.** ახალი მსოფლიო რეკორდი ძალეოსნურ ხუთჭიდში დამყარა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა გერანინის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა ბუოგლინდა პოლკამ — 4.677 ქულა ააფგ-ის ახალი ცხრილით. ეს ორი ქულით აღიმატება ევროპის შარშანდელი ჩემპიონის ჰეიდი როზენდალის (გფრ) მსოფლიო რეკორდს.

ეკონომიკა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ტურბაზაზე ეკონომიკურ ანალიზზე ინსტიტუტის ინიციატივით ეკონომიკურ ანალიზზე ინსტიტუტის, ეკონომიკურ ინსტიტუტთა, ეკონომიკურ ფაკულტეტთა, ეკონომიკურ ანალიზზე ინსტიტუტთა, ეკონომიკურ ინსტიტუტთა, ეკონომიკურ ინსტიტუტთა, ეკონომიკურ